14/12/2021

რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიაში ეპისკოპოსი აკურთხეს

2021 წლის 10 დეკემბერს, კურსკი-კორენის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის დღესასწაულზე, მოსკოვის საპატრიარქოს რუსეთის საზღვარგარეთული ეკლესიის ნიუ-იორკის საკათედრო ტაძარში, საღმრთო ლიტურგიისას აღესრულა არქიმანდრიტ იობის (ბანდმანნი) ქიროტონია ეპისკოპოსად. მეუფე იობი დადგინდა შტუტგარტის ეპისკოპოსად, ბერლინისა და გერმანიის ეპარქიის ქორეპისკოპოსად.

საეპისკოპოსო ქიროტონია შეასრულეს: რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის პირველიერარქმა, ჩრდილოეთ ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტმა ილარიონმა; ბერლინისა და გერმანიის მიტროპოლიტმა მარკოზმა; ლონდონისა და დასავლეთ ევროპის ეპისკოპოსმა ირინეოსმა; ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქიის ქორეპისკოპოსმა, მანჰეტენის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა.

ქიროტონიის შემდეგ რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის პირველიერარქმა, მიტროპოლიტმა ილარიონმა სიტყვით მიმართა შტუტგარტის ეპისკოპოს იობს და

wenews.ge